ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

I. ზოგადი დებულებანი

1. დებულების მოქმედების სფერო

ეს დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის ფუნქციონირებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ ზოგად მოთხოვნებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

2. მაგისტრატურის მიზანი

1. მაგისტრატურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხური, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.
2. მაგისტრატურის მიზანია, სტუდენტს გამოუმუშაოს სამეცნიერო კვლევის ჩვევები, მისცეს სპეციალური ცოდნა და სპეციალობის შეცვლის შესაძლებლობა მის მიერ არჩეულ სფეროში, მოამზადოს შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.
3. უნივერსიტეტის მაგისტრატურა ამზადებს სპეციალისტებს მეცნიერული მიმართულების აქტუალობისა და დამსაქმებლის ინტერესის გათვალისწინებით.

II. მაგისტრატურაში მიღებისა და სწავლის პირობები

3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4. მაგისტრატურაში მიღების პირობები

1. მაგისტრატურაში ჩარიცხვისთვის აუცილებელია:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.

ბ) ფაკულტეტის მიერ დადგენილი ჩარიცხვის სხვა შესაძლო კომპონენტების შესაბამისობა: სპეციალობაში გამოცდის (გამოცდების) წარმატებით ჩაბარება, გასაუბრება, ბაკალავრიატის აკადემიური მოსწრების დადასტურება და სხვა.

გ) გამოცდები ტარდება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით.

2. ფაკულტეტი ვალდებულია:

ა) წინასწარ და სრულად გამოაქვეყნოს ჩარიცხვისა და სპეციალობაში გამოცდის არსებობის შემთხვევაში რანჟირების წესი და პირობები;

ბ) სპეციალობაში გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში გამოცდის თარიღამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე გამოაქვეყნოს საკითხები და საგამოცდო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

გ) აამოქმედოს აპელირების გამჭვირვალე სისტემა.

3. სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის გამოცდა საერთო უნდა იყოს პროგრამის ყველა კანდიდატისთვის.
4. ფაკულტეტებს ან ცალკეულ სამაგისტრო პროგრამებს შეიძლება ჰქონდეთ დამატებითი მოთხოვნები.
5. მაგისტრანტობის კანდიდატთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების

გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52[1] მუხლის მეშვიდე პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის.

5. მაგისტრატურაში სწავლა

1. მაგისტრატურაში სწავლისას მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 120 კრედიტი.
2. ინფორმაცია კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილებისა და მაგისტრის ხარისხის მისაღებად აუცილებელი მოთხოვნების შესახებ მოცემულია თითოეული სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში.
3. მაგისტრატურაში თითოეული სემესტრის მანძილზე სტუდენტს შეუძლია დააგროვოს საშუალოდ 30 კრედიტი.

6. სამაგისტრო პროგრამა

1. ფაკულტეტი მაგისტრატურაში მიღებას აცხადებს იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომელთაც ფაკულტეტის წარდგინებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
2. სამაგისტრო პროგრამა მუშავდება შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ. ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორებთან თანამშრომლობით, სტუდენტებისა და დამსაქმებლების აზრის გათვალისწინებით ადგენენ პროგრამის მიზანსა და ამოცანებს და განსაზღვრავენ, რომელი კურსების გავლაა აუცილებელი და სასურველი მაგისტრის კონკრეტული ხარისხის მისაღებად.
3. სამაგისტრო პროგრამები შეიძლება თავსდებოდეს ერთ დისციპლინაში (მაგალითად, ფიზიკა), იყოს სუბდისციპლინური (მაღალი ენერგიების ფიზიკა) ან ინტერდისციპლინური (ურბანული ეკოლოგია).

4. თუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ერთზე მეტი ფაკულტეტი, პროგრამის დამტკიცებამდე სრულად უნდა იყოს გარკვეული პროგრამაში ჩართული ფაკულტეტების უფლება-მოვალეობანი.
5. წარმოდგენილ პროგრამაში მითითებული უნდა იყოს, რომელი კურსების გავლაა აუცილებელი და რომელ კურსებშია შესაძლებელი არჩევნის გაკეთება სათანადო მაგისტრის ხარისხის მისაღებად.
6. მაგისტრატურის საფეხურზე ყოველი კურსის საკრედიტო მოცულობა არის სამის ჯერადი: კურსი შეიძლება იყოს 3-, 6-, 9-, და 12 კრედიტიანი. კურსი შეიძლება იყოს სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი, არჩევითი.
7. სასურველია, სასწავლო პროგრამა ისე იყოს აგებული, რომ სტუდენტს ყოველ სემესტრში დარჩეს მინიმუმ ექვსი კრედიტი არჩევითი კურსებისთვის.
8. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრისას აკადემიური პერსონალი თავისუფალია. შეიძლება მოქმედებდეს სხვადასხვა სქემები. მაგ.: სამაგისტრო პროგრამა *არქეოლოგია და ხელოვნება* შეიძლება გამოიყურებოდეს ამგვარად:[1]

ა) სამი ძირითადი კურსი: *კვლევის მიმართულებები არქეოლოგიასა და ხელოვნებაში; არქეოლოგიის თეორიის საკითხები; ისტორიული მასალების ინტერპრეტაცია.* კურსების გავლა შესაძლებელია პირველ ან მეორე სემესტრში.

ბ) სამი სემინარი მინიმუმ ორი მიმართულებიდან: *წინარე კლასიკური, კლასიკური* და *შუა საუკუნეების ხელოვნება და არქეოლოგია.* სემინარების თემები შეიძლება იცვლებოდეს ყოველ სემესტრში, პროფესორის კვლევითი პროექტიდან გამომდინარე. კურსების გავლა შესაძლებელია პირველ ან მეორე სემესტრში.

გ) სამი არჩევითი კურსი: კურსების არჩევა შესაძლებელია როგორც სემინარებიდან, ისე ანტიკური ან შუა საუკუნეების ენებიდან.

დ) ერთი თავისუფალი არჩევითი კურსი უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის სასწავლო პროგრამიდან.

ე) სამაგისტრო ნაშრომი.

[1] მოყვანილი მაგალითები მხოლოდ ნიმუშებია, რომელთა გამოყენება არ არის სავალდებულო.

10. სამაგისტრო პროგრამა შეიძლება უფრო თავისუფალი სტრუქტურისა იყოს. მაგ.: პრობლემაზე ორიენტირებული პროგრამა: *ისტორია: ქალაქები, ქვეყნები და მოქალაქეობა*)[2] I. ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები და შესავალი კვლევის სფეროში (18 ECTS); II. კურსები სპეციალიზაციიდან გამომდინარე (72 ECTS). შემოთავაზებული 20 კურსიდან უნდა აირჩიონ 12 კურსი; III. სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS).

11. კურსის შეთავაზებისას არსებობის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს, არის თუ არა აუცილებელი რაიმე სხვა კურსის/კურსების გავლა ამ კურსის არჩევამდე. მაგალითად, იმისათვის, რომ სტუდენტმა აირჩიოს კურსი *ვირგილიუსი შუა საუკუნეებში*, გავლილი უნდა ჰქონდეს *შუა საუკუნეების ლათინური.*

7. ინდივიდუალური პროგრამით სწავლა

1. თუ სტუდენტი სპეციალობის დასაუფლებლად შეგნებულად ირჩევს მიღებულისგან განსხვავებულ სქემას, მას ეძლევა უფლება, წერილობით მიმართოს ფაკულტეტ(ებ)ის საბჭოს და დაუსაბუთოს საკუთრივ მის მიერ არჩეული სქემის მართებულობა და ადეკვატურობა. ფაკულტეტის საბჭო ვალდებულია, მიმართვიდან ერთი თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

8. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები

1. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები მოქმედებს პროგრამაში ჩართული უნივერსიტეტების მიერ დადგენილი წესით.
2. ერთობლივ პროგრამებად ითვლება:

   ა) პროგრამები, რომლებიც შემუშავებულია ერთზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;

   ბ) პროგრამები, რომლებიც საერთო ადამიანური რესურსით სარგებლობენ: თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორები ასწავლიან მონაწილე

[2] პროგრამა მოქმედებს უტრეჰტის უნივერსიტეტში.

ინსტიტუციებში, ერთად იმუშავებენ სასწავლო გეგმას, ქმნიან გაერთიანებულ კომისიას სტუდენტების მიღებისას და შეფასებისას;

გ) პროგრამები, რომელთაც საერთო კვლევითი კომპონენტი აქვთ.

3. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილი უნდა იყოს ხარისხის სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

III. სამაგისტრო ნაშრომი და მაგისტრის ხარისხის მინიჭება

9. სამაგისტრო ნაშრომი

1. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან; იგი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებელ ჩატარებას, რომელთა შედეგებს შეუძლიათ არსებული ცოდნის გაღრმავება და სისტემატიზაცია და რომელთა საფუძველზე იგი შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენას.
2. მაგისტრატურაში დასაგროვებელი 120 კრედიტიდან სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის მინიმალური ოდენობაა 12 კრედიტი.
3. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით.
4. სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს, რომ ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ მან ჩაატარა დამოუკიდებელი კვლევა სპეციალიზაციის სფეროში ან შეასრულა არსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ნაწილი. ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა შეძლოს პრობლემური საკითხის მეცნიერული მეთოდებით დამუშავება და შედეგების საგნობრივი და ენობრივი თვალსაზრისით დამაჯერებელი წარმოდგენა.
5. შერჩეული თემა უნდა ეხებოდეს აქტუალურ, მაგრამ არა ძალიან ფართო პრობლემას, რომლის ანალიზისას მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ორიგინალურობის ჩვენება.

6. სამაგისტრო ნაშრომის თემას განსაზღვრავენ მაგისტრანტი და ხელმძღვანელი ურთიერთშეთანხმებით.
7. სამაგისტრო თემის შეფასების კრიტერიუმებს, დაცვის თარიღსა და პროცედურას ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

10. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

1. მაგისტრანტს არჩეული თემის დასამუშავებლად ჰყავს ხელმძღვანელი.
2. ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში კვლევის და/ან პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.
3. მაგისტრანტისთვის ხელმძღვანელი უნდა შეირჩეს მაგისტრატურაში სწავლის არაუგვიანეს მეოთხე სემესტრის დასაწყისისა.
4. მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი.
5. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია, წერილობით აცნობოს ფაკულტეტს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაურის და მოკლე ანოცატიის შესახებ მეოთხე სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

11. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

ა) ფაკულტეტის მიერ დადგენილი წესით ნაშრომის შეფასებაში მის დაცვამდე ჩართულნი უნდა იყვნენ რეცენზენტები.

ბ) დაცვა ხდება საჯაროდ, ფაკულტეტის მიერ დადგენილი წესით, შერჩეული კომისიის წინაშე. თემის შეცვლის ან დაცვის გადავადების შესახებ უნდა მაგისტრანტის ხელმძღვანელმა წერილობით უნდა აცნობოს ფაკულტეტს

გ) დაცვის პროცედურა უნდა ემყარებოდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს.

12. მაგისტრის ხარისხის მინიჭების წესი

1. კრედიტების საჭირო რაოდენობის დაგროვების და ნაშრომის წარმატებით დაცვის შემთხვევაში მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
2. მისანიჭებელი ხარისხი განსაზღვრული უნდა იყოს პროგრამაში.

13. დაფინანსება

1. მაგისტრატურაში სწავლა ფასიანია.
2. უნივერსიტეტმა შესაძლებელია დააფინანსოს ის სტუდენტები, რომლებმაც საერთო სამაგისტრო გამოცდებში დააგროვეს მაღალი ქულები, თუმცა ვერ მიიღეს სახელმწიფო გრანტი. დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობას ყოველწლიურად განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.